

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის:

ა) მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატისა და საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარეები - 70%.“;

ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების), ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნების შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამის კოლეგიაში (გარდა საგამოძიებო კოლეგიისა)/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობა მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით და თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლისათვის აღნიშნულ რაოდენობამდე საქმეთა შესავსებად საქმეთა განაწილების მაჩვენებელი გაიზრდება 250%-ით, ხოლო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლისათვის - 200%-ით, ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე, ამ ასაკის მიღწევის შემდეგ კი - 250%-ით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე
„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული
აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის
31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

პროექტის მიღების მიზეზი

საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი ითვალისწინებს საქმის განაწილების პროცესში გარკვეული შეღავათების გავრცელებას იმ მოსამართლეთა მიმართ, რომელთაც უკავიათ ადმინისტრაციული თანამდებობა, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატისა და საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარეთა მიმართ არ არის დადგენილი მსგავსი შეღავათი. პროექტი ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატისა და საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარეთა მიმართ საქმის განაწილების პროცესში შეღავათის გავრცელებას და საქმეთა განაწილების მაჩვენებლის განსაზღვრას 70%-ით.

ამასთან, პროექტი ითვალისწინებს შესაბამის კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობასთან გათანაბრების მიზნით თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლისათვის საქმეთა განაწილების მაჩვენებლის გაზრდას 250%-ით, ხოლო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლისათვის - 200%-ით, ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე, ამ ასაკის მიღწევის შემდეგ კი - 250%-ით.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.